**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტისა და 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შეხვედრის**

**N4 ოქმი**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის** 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის" სხდომა გაიხსნა 2023 წლის 06 ნოემბერს. სხდომა ჩატარდა მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი რუსთაველის ქ. N25

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტისა და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 1 მარტის №48.482306014 ბრძანების საფუძველზე. სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს მუნიციპალიტეტის მერი გენადი ბალანჩივაძე.

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**გენადი ბალანჩივაძე** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯომარე;

**გრიგოლ ყურაშვილი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

**ფატი გაგოშიძე** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

**ვახტანგ ნადარეიშვილი** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

**ნათია ჩაკვეტაძე** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი;

**რიმა მარგიანი** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი;

**მალხაზი ჩხეიძე** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი;

**მარეხი კანკაძე** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;

**მაკა თედორაძე** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის უფროსი;

**იასონ გაბუნია** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

**გიორგი ჩაკვეტაძე** - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი;

**ირმა ხელაძე** - მერის თანაშემწე - მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირი;

**ფიქრია შვანგირაძე** - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის - საბიუჯეტო დაგეგმვის განყოფილების უფროსი;

**ზურაბ ჯანელიძე** - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი;

**მიხეილ კეზევაძე** - მერის წარმომადგენელი რიონის ადმინისტრაციულ ერთეულში;

**ნიკა მჟავია** - მერის წარმომადგენელი რიონის ადმინისტრაციულ ერთეულში;

**ვაჟა ჟორჟოლიანი** - მერის წარმომადგენელი რიონის ადმინისტრაციულ ერთეულში;

**დღის წესრიგი:**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის 24 ნოემბრის N49-49233282 წერილის საფუძველზე 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ გამოთქმული შენიშვნების განხილვა.

**მოისმინეს:**

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ფატი გაგოშიძის მოხსენება დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით.

**აზრი გამოთქვეს:**

გენადი ბალანჩივაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი.

გრიგოლ ყურაშვილი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოადგილე.

მალხაზ ჩხეიძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურის უფროსი.

ნათია ჩაკვეტაძე - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

ჯგუფმა ყველა წევრის მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე“ მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ, კერძოდ:

| N | რეკომენდაციის ავტორი | რეკომენდაცია | რეკომენდაციის გათვალისწინება | |
|---|---|---|---|---|
| I | საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისია. | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამაზე 100 000 ლარის დამატების შესახებ | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის დასაფინანსებლად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 400 000 ლარი. ანუ 2023 წლის ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 150 000 ლარით. წლის განმავლობაში, ბიუჯეტში ცვლილების შეტანის გზით ისევ გაითვალისწინება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მომართვები. | |
| | | ნაგავშემკრები კონტეინერები და ნაგავმზიდი მანქანების პროგრამის 100 000 ლარით ზრდის შესახებ | 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 751 100 ლარი. რომრლიც ითვალისწინებს 3 ერთეული ნაგავმზიდი მანქანის შეძენას და (სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე) და 100 მდე ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერის შეძენას. | |
| II | საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“ | შშმ პირებისათვის (თვალის დაავადების დიაგნოზით ) საკუთარ ჯანმრთელობაზე ხელშეწყობის მიზნით სპეც ტექნიკის შესაძენად დაფინანსება არა უმეტეს 350 ლარისა | შშმ პირებისათვის (თვალის დაავადების დიაგნოზით ) საკუთარ ჯანმრთელობაზე ხელშეწყობის მიზნით სპეც ტექნიკის შესაძენად 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება დაფინანსება არა უმეტეს 350 ლარისა. | |
| | | გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე ხანდაზმულთა | გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონალური საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე ხანდაზმულთ სპეციალიზირებულ დაწესებულებაში გადაყვანის ხარჯების ანაზღაურება 2024 წლის საბიუჯეტო წელს მოხდება 1500ლარის ოდენობით. | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ასპეციალიზირებულ დაწესებულებაში გადაყვანის ხარჯების ანაზღაურება მოხდეს 1500ლარის ოდენობით. | | |
| | | სკოლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისა და შენარჩუნების მიზნით გაჩნდეს ბიუჯეტში გარკვეული თანხა (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) | სკოლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისა და შენარჩუნების მიზნით თანხების ხარჯვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ,მემორანდუმის საფუძველზე, განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში. | |
| | | ქ. წყალტუბოში აღმაშენებლის ქუჩის მე-2 ჩიხის გზის მოწყობა ბეტონის საფარით | აღმაშენებლის ქუჩის მე-2 ჩიხის გზის მოწყობა ბეტონის საფარით გათვალისწინებულია და განხორციელდება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით | |
| III | საკრებულ ოს იურდიულ საკითხთა კომისია | ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა სოციალური დახმარებების ზრდა. | აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომისიის განმარტებაში | |
| III | ფრაქცია „ერთიანი ნაციონალუ რი მოძრაობა“ | გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა სოფ. წყალტუბოს თემში | გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა სოფ. წყალტუბოს ადმინისტრაციულ თემში განხორციელდება რესურსის შესაბამისად. | |
| | | სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება დევნილთა დასახლებაში | გათვალისწინებული იქნება 2024 წლის ბიუჯეტით | |
| | | ცენტრალური პაკის სრული ტერიტორიის მოვლა პატრონობა | ცენტრალური პაკის სრული ტერიტორიის მოვლა პატრონობაზე გაფორმებულია ხელშეკრულება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ. ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები ცენტრალური პარკისა და ცივი ტბის რეაბილიტაციისა და განვითარების კონცეფციის შემუშავებასთან დაკავშირებით. აღნიშნული პროექტის დასრულების შემდგომ მოხდება მოვლა პატრონობასთან/დაცვა/ შესაბამისი ბაზის გაძლიერება. | |
| IV | მუნიციპალ იტეტის | 1.ხანდაზმულებისა და მკვეთრად მხედველობა | გათვალისწინებულია | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | მერიის მრჩეველთა საბჭო | შეზღუდულთა დახმარების გაზრდა<br>2. სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია<br>3. სოფ. მუხიანისა და ქვიტირში გარე განათების ქსელის რეაბლიტაცია | გათვალისწინებულია<br><br>გათვალისწინებულია | |
| V | საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია | სკოლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისა და შენარჩუნების მიზნით გაჩნდეს ბიუჯეტში გარკვეული თანხა (დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში) | სკოლების ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობისა და შენარჩუნების მიზნით თანხების ხარჯვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ,მემორანდუმის საფუძველზე, განკარგულებით გამოყოფილი თანხების ფარგლებში. | |
| N | საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია | ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა სოციალური დახმარებების: სათნოების სახლის ბენეფიციართა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა, სამამულო ომის მონაწილის, , ცერემბრალური დამბლით დაავადებულთა დახმარების ზრდა. | ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად გათვალისწინებულია 300 ლარი, ხოლო უჭირისუფლო გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით 400 ლარის ოდენობით.<br><br>ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 300 ლარისა სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიანი ბაზის მიხედვით 0-და 310001-ჩათვლითა, 100 წელს გადაცილებული პირებისათვის, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისათვის და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ინკლუზიური | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ცენტრის ბენეფიციარი 18 წლამდე ბავშვებისათვის, ასევე შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე მძიმესოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კატეგორიას, კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 80 ლარის ღირებულებისა. ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 2000 ლარი ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება - 2000 ლარი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 300 ლარისა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებისა და დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვიანი ოჯახები, რომლებიც იმყოფებიან მძიმე სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაში და/ან საჭიროებენ დახმარებას. აღნიშნული ქვეპროგრამიდან თითოეულ ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა არ აღემატება 2500 ლარს. ვერ განხორციელდება ფრაქცია „ერთიანი ნაციო ნალური მოძრაობის“ ინიციატივა დედ-მამით ობოლი ბავშვებისათვის 600 ლარამდე ფულადი<br>თანხის გაზრდის შესახებ, ვინაიდან აღნიშნ ულ ბენეფიციარებზე თანხა უკვე გაიზარდა 2023 წელს და წელიწადში 1200 ლარს მიაღწი ა. (კვარტალში-400 ლარი).<br><br>დაგეგმილი თანხის ფარგლებში ვერ ხერხდე |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | ბა ცერებრალური დამბლით დაავადებული ფულადი<br>გასაცემელის, ასევე სამედიცინო თანადაფინ ანების პროცენტული მაჩვენებლის 2000 ლარ ამდე გაზრდა. ვერ ხერხდება სტუდენტების მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება რადგა ნ ქალაქს არ ჰყავს მუნიციპალური ტრანსპორ ტი, ასევე ვერ განხორციელდება პირველკლა სელთა კვებითი პროგრამის უზრუნველყოფ ა. რაც შეეხება სარიტუალო მომსახურების თ ანხის გაზრდას, უკვე გათვალისწინებულია და მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში გ აზრდილია 250<br>ლარიდან 300 ლარამდე. რაც შეეხება უჭირი სუფლო გარდაცვლის დაკრძალვის ხარჯები ს ანაზღაურებას , აღნიშნულის ზრდაც განხ ორციელდა 2024 წელს 400 ლარამდე.<br><br>ინიციატივა: 0-<br>დან 65000 სარეიტინგო ქულის მქონე მოქალ აქეების ერთჯერადი ფულადი დახმარების შ ესახებ უკვე განხორციელებულია ნაწილობრ ივ, ვინაიდან აღნიშნული კატეგორიის მრავა ლშვილიანი ოჯახები არიან 300 ლარიანი ფ ულადი დახმარების მიმღები ბენეფიციარებ ი.<br><br>რაც შეეხება იურიდიულ საკითხთა კომისიის შენიშვნებსა და წინადადებებს, უკვე გათვალისწინებულია და შშმ ბავშვების დახმარება გაუტოლდება ცერბრალური დამბლით დაავდებულ პირთა ერთჯერად ფულად დახმარებას. | |

კომისიის თავმჯდომარე:

გენადი ბალანჩივაძე

კომისიის წევრები:

გრიგოლ ყურაშვილი

ფატი გაგოშიძე

ვახტანგ ნადარეიშვილი

ნათია ჩაკვეტაძე

რიმა მარგიანი

მალხაზი ჩხეიძე

შარეხი კანკაძე

მაკა თედორაძე

იასონ გაბუნია

გიორგი ჩაკვეტაძე

ირმა ხელაძე

ფიქრია შვანგირაძე

ზურაბ ჯანელიძე

მიხეილ კეზევაძე

ნიკა მჟავია

ვაჟა ჟორჟოლიანი